



შპს ორიენტირი

პროფესიული
საბანმანათლებლო
პროგრამების

კატალოგი

2019

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ



სახელწოდება: შპს ორიენტირი

დირექტორი: რამაზ მაჭარაშვილი

ტელ: 577-78-47-46

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ. თბილისი,

ც. დადიანის 26

საფოსტო ინდექსი:0103

ტელ: 2695115

ვებგვერდი: WWW.orientiri.edu.ge

@ info@orientiri.edu.ge



ორიენტირის მისია

ორიენტირის მისიას წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის გზით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის მაღალ დონეზე რეალიზებული ადამიანური რესურსის მომზადება, რომელიც შეძლებს განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა თანამედროვე სამყაროში.

რატომ „ორიენტირი“ ?

საზოგადოებრივი კოლეჯი ორიენტირი წარმოადგენს კერძო პროფესიულ სასწავლო დაწესებულებას, რომელიც დაარსებულია 25 წლის წინ, გავლილი აქვს სხვადასხვა პროცედურები, აქვს პროფესიული განათლების დარგში დიდი წარმატებები და გამოცდილება.

ორიენტირს გააჩნია საკუთარი კეთილმოწყობილი 1300 კვადრატული მეტრის ფართის მქონე შენობა, რომელშიც განთავსებულია ნათელი, სპეციალობების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, სამედიცინო კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი და ადმინისტრაციის განკუთვნილი თანამედროვე დონეზე დაკომპლექტებული კაბინეტები.

სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობენ და სასწავლო კურსებს უძღვებიან დარგის გამოცდილი პროფესიული მასწავლებლები.

საწარმოო პრაქტიკას სტუდენტები გადიან მოწინავე საწარმოებში, კვალიფიციური კადრების მეთვალყურეობით და დახმარებით.

სასწავლებელს აქვს სპორტული მოედანი, ავტოსადგომი, შენობის ყველა სართულზე შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით სარგებლობა, შენობის მიმდებარე ტერიტორია დაცულია სათვალთვალ კამერით.

სასწავლებელი სტუდენტებს ამზადებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებში, კურსადამთავრებულები წარმატებით საქმდებიან შეძენილი სპეციალობის შესაბამისად.

საზოგადოებრივ კოლეჯ ორიენტირს, როგორც წარმატებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიღებული აქვს მრავალი სერტიფიკატი. კოლეჯი ორიენტირი დარგის ლიდერია, საქართველოს ლიდერ საწარმოთა 2016 წლის რეიტინგის ოქროს და კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებული ბრენდირების ორგზის ხუთი ვარსკვლავის მფლობელია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთაც ახორციელებს კოლეჯი ორიენტირი

ბაგა ბალის აღმზრდელი პედაგოგი

1. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
3. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბალში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა.შ.
4. მიზანი: - პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელი გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბალის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
5. სწავლის შედეგები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
 - ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
 - სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
 - სააღმზრდელი პროცესის მართვა პოზიტიური გაძლოლის პრინციპების გამოყენებით
 - წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელი გარემოს შექმნა

6. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის:

- მოცულობა: 113 კრედიტი
- ხანგრძლივობა: 19 სასწავლო თვე

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ დაუდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის:

- მოცულობა: 143 კრედიტი
- ხანგრძლივობა: 24 სასწავლო თვე

7. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

8. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების მოპოვების შემთხვევაში.

ექთნის თანაშემწე მესამე საფეხური

პროფესიული პროგრამის მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ექთნის თანაშემწის მომზადება, რომელიც ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, კერძოდ: ეცოდინება ურთიერთობის ფსიქოლოგია, პაციენტებთან და პაციენტის ახლობლებთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, ინფექციური დაავადებები და ინფექციის კერაში მუშაობისას საკუთარი თავის დაცვის მეთოდები, პაციენტის ორგანიზმზე წამლების გვერდითი ეფექტების მოქმედება, საექთნო მოვლის ასისტირების ძირითადი საშუალებების ფორმები . შეეძლება: პირველადი სამედიცინო დახმარება, ინექციის ჩატარება, დეზინფექციის ჩატარება, სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა და ა. შ. ორსულის/მშობიარეს მოვლის პრაქტიკული ჩვევები; სხვადასხვა ასაკის ბავშვის მოვლის თავისებურებები; თერაპიული და ქირურგიული პაციენტების მოვლის ძირითადი პრინციპები; პალიატიური პაციენტის მოვლის ძირითადი მეთოდები;

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება: აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. იცის ურთიერთობის ფსიქოლოგია, მისი არსი, ურთიერთობის საშუალებები და ფორმები, ურთიერთობის ტიპები, ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები, ფლობს ბიოლოგიური მეცნიერების: მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, იმუნოლოგიის საფუძვლებს. დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების აგებულება, მათი ურთიერთდამოკიდებულება მაკროორგანიზმთან, ინფექციისაგან დაცვის მიზნით ეპიდემიოლოგიურ პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების ზოგადი პრინციპები. იცის ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის აგებულება და ფიზიოლოგია. ორგანოთა სისტემების მიხედვით ფუნქციასთან, განვითარებასთან და

გარემოს ზეგავლენასთან კავშირში, ასაკობრივი, სქესობრივი და ინდივიდუალური ფაქტორების გავლენის მიხედვით, იცის ასეპტიკისა და ანტიასეპტიკის ძირითადი პრინციპები ასევე დესმურგის ძირითადი საკითხები, ოპერაციისთვის ავადმყოფის მომზადების წესები ინფიცირებასთან ბრძოლა და პრევენციის ხერხები, სტერილიზაციის მეთოდები.

იცის პაციენტის უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლები; აცნობიერებს პაციენტის უფლებების განხორციელების შესაძლებლობებს. იცის წამლების მოქმედება ორგანიზმზე და გვერდითი ეფექტები. ჰიგიენური და სანიტარული ღონისძიებების გასატარებლად აუცილებელი თეორიული საფუძვლები: წყლის, ჰაერის, კვების ჰიგიენა, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და საცხოვრებლის ჰიგიენურ - სანიტარული მდგომარეობის და მაჩვენებლების მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის, თავდაცვის ღონისძიებები.

იცის პირველადი სამედიცინო გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პრინციპები. ხელოვნური სუნთქვის და გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარების, ასევე ტრამვისა და ჭრილობის, სისხლდენის შემთხვევაში და სხვა გადაუდებელი მდგომარეობების დროს პირველადი დახმარების აღმოჩენის პრინციპები, იცის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი.

იცის ინფექციური დაავადებები, მათი გამომწვევი მიზეზები. ინფექციის გადაცემის გზები, დაავადების ძირითადი სიმპტომები და მიმდინარეობა, ინფექციის კონტროლი, პროფილაქტიკური ღონისძიებები და ინფექციის კერაში თავდაცვის პრინციპები და საშუალებები.

გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები, მეთოდები, საშუალებები და ფორმები. კერძოდ ავადმყოფის პირადი ჰიგიენის დაცვის, ტრანსპორტირების, კანის მოვლის, ნაწოლების პროფილაქტიკის, თეთრეულის გამოცვლის, განავლის და შარდის მიმღების გამოყენების, კვების, წამლების მოწოდების, საკვების შენახვის, წამლების დოზირების რეჟიმის პრინციპები. იცის პალიატიური მზრუნველობის არსი, ამოცანები, უკურნებელ ავადმყოფთა ტერმინალური პერიოდის სიმპტომები და ასეთი ავადმყოფების მოვლის

თავისებურებანი და პრინციპები, მდგომარეობის შემსუბუქების მედიკამენტოზური და არამედიკამენტოზური საშუალებები. ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა დაავადების და კატეგორიის ავადმყოფის მოვლის პროცესში. იცის დაავადების სპეციფიკიდან და ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე კვების, წამლების მიწოდების, ტრანსპორტირების, გარეგანი მანიპულაციების, ჰიგიენის დაცვის მეთოდები და საშუალებები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. შეუძლია: მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება.

პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში; საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან; ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება; მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა; საწოლის გამზადება, ტრანსპორტირება; გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; შეუძლია დეზინფექციის ჩატარება (კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით), ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება. საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას. შეუძლია სხვადასხვა გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი, სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით); პაციენტის უფლებების დაცვა, დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა

შეუძლია საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან; დახმარება წამლების დარიგების დროს; თერაპიული ავადმყოფების მოვლა;

მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა; განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია;

ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა; ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგის მიმდინარეობისას. პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტიბიოტიკური დამუშავება);

დასკვნის უნარი: შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება

და ანალიზი. აქვს უნარი, შესაბამისი ნიშნების არსებობისას ამოიცნოს სამკურნალო საშუალებების პაციენტზე მოქმედების ფაქტი. ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინების, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი პოზიციის დაცვის; პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნების, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღების და ამისშესახებ

ექთნის/ექიმის ინფორმირების; შეუძლია ადექვატური დასკვნის გაკეთება პაციენტის მიერ შესაბამისი წამლის მიღების/არმიღების, ერთი წამლის მეორეთი ჩანაცვლების, ზედოზირების, შეწყვეტის ან მიღების რეჟიმის დარღვევის შესახებ. კვალიფიციური სამედიცინო ჩარევის საჭიროების განსაზღვრის და ექიმის/ექთნის დროულად გამოძახების.

კომუნიკაციის უნარი: შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. შეუძლია ინგლისურ ენაზე მარტივი ტექსტების გაგება და ასევე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, გააზრება და კომუნიკაცია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში. ფლობს კომპიუტერული საოფისე პროგრამები. შეუძლია მარტივი მათემატიკური

გამოთვლების (მიმატება-გამოკლება, გაყოფა-გამრავლება, პროცენტი) ჩატარება . შეუძლია კომუნიკაცია ურთიერთობის მიღებული ნორმების დაცვით, ასევე სხვისი საუბრის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გააზრება და დაზუსტება, ასევე შეუძლია წაიკითხოს და გაიაზროს აუცილებელი ინფორმაცია, შინაგანაწესი, ხელშეკრულება და სხვა საჭირო დოკუმენტები. შეუძლია კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, ბავშვის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან, რაც გააუმჯობესებს პაციენტის მოვლის ხარისხს

შეუძლია პაციენტის მოვლაზე, მანიპულაციებსა და სხვა პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში; უნარი აქვს ყურადღებით მოისმინოს სხვისი საუბარი, მოსმენილი გაიზროს და საჭიროებისას დააზუსტოს;

სწავლის უნარი: შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება და მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა, ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის.

შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობით და რჩევების გათვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები;

ღირებულებები: განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად; შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს; კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.

პროგრამის მოცულობა: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს (2250 საათს), რომლის 60% (54 კრედიტი /1350 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო 40% (36 კრედიტი/900 საათი) პრაქტიკას.

- პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.
- ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი;
- თეორიული სწავლება მიმდინარეობს 40 კვირის მანძილზე, რომლის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას 26 კვირის მანძილზე.
- ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.
პროგრამის ხანგრძლივობა: 66 კვირა



პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხური

პროფესიული პროგრამის მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პრაქტიკოსი ექთნის მომზადება შრომის ბაზრისათვის, რომელიც ფლობს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისურ თეორიულ ცოდნას და კლინიკურ უნარ–ჩვევებს, რის საფუძველზეც იგი წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს; სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; აგრეთვე საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ–პოლიტიკური ასპექტები; სწავლის პროცესში სტუდენტი გაეცნობა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გააცნობიერებს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულებას; გაეცნობა უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობას უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; აგრეთვე გაეცნობა ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს; გააცნობიერებს პრაქტიკოსი ექთნის როლს ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება: აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გააცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს; უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას და მონიტორინგს;

იცის ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის აგებულება და ფიზიოლოგია. ორგანოთა სისტემების მიხედვით ფუნქციასთან, განვითარებასთან და გარემოს ზეგავლენასთან კავშირში, ასაკობრივი, სქესობრივი და ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით, აგრეთვე მათში მიმდინარე

პათოლოგიური ცვლილებები; ინტენსიური თერაპიისა და რეანიმატოლოგიის ძირითად საკითხები; იცის ინფექციური დაავადებები მიკრობიოლოგიითა და ეპიდემიოლოგიით; იცის ნერვული სისტემის დაავადებათა ეტიოპათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდები, იცის ზოგადი ონკოლოგიის საფუძვლები.

გაცნობიერებული აქვს: პრაქტიკოსი ექთნის როლი ონკოლოგიური ავადმყოფის სპეციალური მოვლის საქმეში, პალიატიური მოვლის უმთავრესი ასპექტები.

იცნობს შინაგანი ორგანოების დაავადებების განვითარებისა და გამოვლენის მიზეზებსა და მექანიზმებს, მათი მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდებს.

იცის ბავშვის ზრდა-განვითარების ძირითადი პრინციპები; ახალშობილთა დაავადებები, ადრეული ასაკის ბავშვთა დაავადებები. ბავშვთა ასაკის გულსისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი და სხვა სისტემების დაავადებები, დროული და დღენაკლული ახალშობილის შეფასების პრინციპები, ავადმყოფი ბავშვის მოვლის თავისებურებანი სახლის თუ სტაციონარის პირობებში და პრაქტიკოსი ექთნის როლი სხვადასხვა ასაკის ბავშვთა მოვლის საქმეში. გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი გერიატრიული ავადმყოფის სპეციალური მოვლის საქმეში პაციენტის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

იცის: ქირურგიული დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მოვლის თანამედროვე მეთოდები; დაავადებების სიმპტომატიკა, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ქირურგიული პაციენტის მკურნალობის პრინციპები.

ფლობს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების წესებს და პრინციპებს, გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს(BLS, ACLS, PHTLS, ATLS);

იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;

იცის ორსულის, მშობიარეს მოვლის თავისებურებები. იცის გადაუდებელი დახმარების ღონისძიებათა და მანიპულაციათა თავისებურებები და მეთოდები მშობიარისა და ახალშობილისათვის; იცის მშობიარის ოპერაციის შემდგომი მოვლის მეთოდები.

იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება;

იცის საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსი, მიზნები, ფუნქციები, ამოცანები, ჯანდაცვის მენეჯმენტის ფუნდამენტური პრინციპები. იცის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი პრინციპების ცოდნის მნიშვნელობა მოსახლეობის ჯანდაცვის საქმეში.

იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;

იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები; გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში. იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები;

იცის წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტები; სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ჯგუფები, მოქმედების მექანიზმები და წესები.

იცის სან-ჰიგიენური მოთხოვნები და პრევენციული ღონისძიებები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.

შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დასმული პრობლემის იდენტიფიცირება. ბავშვ

ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, უსაფრთხო, კომფორტული მოვლის უზრუნველყოფა, ბავშვის მდგომარეობის ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება.

პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და შესწავლაში.

შეუძლია შეძენილი ცოდნის საფუძველზე კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის მეთოდების განსაზღვრა და მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა; კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;

გადაუდებელი დახმარების გაწევა მშობიარისა და ორსულისათვის; გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება).

შეუძლია: კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;

შეუძლია სწორად განსაზღვროს სამედიცინო ტერმინთა კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით, სწორად განმარტოს ქართული სამედიცინო ტერმინები, გამოიყენოს ავადმყოფობთა და მათი კლინიკური გამოვლენის ფორმათა ქართული დასახელებები, განმარტოს პროფესიული სამედიცინო ლათინური ტერმინები და გამონათქვამები, რეცეპტის გაფორმების/წაკითხვის თავისებურებები აწარმოოს პრეფიქსისა ან/და სუფიქსის მიმატებით პათოლოგიური პროცესების და სხვადასხვა ორგანოს დაავადების დასახელებები.

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა; კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური

ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა-წარმოება; მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით; შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ანდა იმუნიზაციის წარმოება;

კლიენტის/პაციენტის, ოჯახის წევრების ან და მომვლელის ინფორმირება და განათლება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;

შეუძლია კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე;

შეუძლია სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა; დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/განათლება, მართვა, ფუქნციების ადეკვატური დელეგირება; ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება, ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციურობის უზრუნველყოფა.

შეუძლია შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში, როგორც ექიმის მეთვალყურეობით (პაციენტთა სტაციონარული მომსახურების ადგილებში), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისას ბინაზე მოვლის დროს. შეუძლია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული მოვლის უზრუნველყოფა, ბავშვის მდგომარეობის ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება.

დასკვნის უნარი: გამოკვეთილი პრობლემის ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. შეუძლია დროულად ამოიცნოს კლიენტ/პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან; ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.

შეუძლია კლიენტ/პაციენტის მდგომარეობის შეფასება, კვალიფიციური სამედიცინო ჩარევის საჭიროების განსაზღვრა და ექიმის დროულად გამოძახება/გაფრთხილება.

კომუნიკაციის უნარი: უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით; ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით; იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განახორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე. უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს, აქვს პრეზენტაციის უნარი. იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს

სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით. შეუძლია კომუნიკაცია პაციენტთან, ასევე მის ახლობლებთან, ეთიკის ნორმების დაცვით საუბარი მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სწავლის უნარი: შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას. შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება, შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა.

ღირებულებები: პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება. მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადეკვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს; აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას. მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;

შეუძლია პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება, მასზე დაკისრებული მოვალეობის მნიშვნელობის განსაზღვრა, პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების გათავისება და მათ შესაბამისად მოქმედება.

პროგრამის მოცულობა: პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 150 კრედიტს (3750 საათი), რომლის 40% (60 კრედიტი - 1500 საათი) ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 60% (90 კრედიტი - 2250 საათი) - თეორიულ კომპონენტს.

- პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.
- ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი;
- თეორიული სწავლება მიმდინარეობს 58 კვირის მანძილზე, რომლის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას 38 კვირის მანძილზე.
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეხუთე საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პროგრამის ხანგრძლივობა: 96 კვირა



ფარმაცევტის თანაშემწე მეხუთე საფეხური

პროფესიული პროგრამის მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფარმაცევტის თანაშემწის მომზადება შრომის ბაზრისათვის, რომელიც ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ უნარ ჩვევებს, კერძოდ მომზადდეს წამლების სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპების, ნედლეულისა და მასალების მიღება-აღრიცხვის, ნედლეულის შენახვის, პირველადი დამუშავების, წამლის ხარისხის კონტროლის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ძირითადი საკითხების, ფარმაცევტული პროდუქციისა და სამედიცინო დანიშნულების მქონე საქონლის, საგნების შენახვის პირობებისა და ვარგისობის ვადების კონტროლის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის განკუთვნილი ობიექტების შეფასების, დათვალიერების, სინჯების აღებისა და დამუშავების მცოდნე, საქარხნო და სააფთიაქო ტექნოლოგიურ ოპერაციებში მონაწილეობის უნარის მფლობელი და აუცილებელი კომუნიკაციური დიგიტალური უნარების მქონე სპეციალისტი- მეხუთე საფეხურის ფარმაცევტის თანაშემწე, რომელიც აღჭურვილი იქნება პროფესიით აფთიაქებში, ფარმაცევტულ საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ და წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, ფარმაცევტულ ბაზებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში დასაქმებისათვის აუცილებელი კომპეტენციებით/უნარებით და შეასრულებს ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ მოვალეობებს.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება: აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს). იცის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები

კერძოდ ზოგადი და არაორგანული ქიმიის საფუძვლები, ქიმიური რეაქციის ტიპები, ატომის აღნაგობა, ქიმიური ბმები, ვალენტობა, ქიმიური რეაქციის სიჩქარე, ქიმიური წონასწორობა და ხსნარების კონცენტრაციის გამოსახვა პროცენტებში, ასევე ძირითადი არაორგანულ ნაერთთა კლასები. ასევე ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის ზოგადი პრინციპები.

იცის ანალიზური ქიმიის თეორიული საკითხები, ნაერთების შემადგენელი კომპონენტების აღმოჩენის და მათი რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები: ტიტრომეტრული ანალიზი, ბუფერული და ტიტრიანი ხსნარების მომზადების წესები, ანალიზის ქიმიურ-ფიზიკური მეთოდები. ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები.

იცის ზუსტი მეცნიერების მათემატიკის ზოგადი საფუძვლები, ნატურალურ და რაციონალურ რიცხვებზე არითმეტიკული ოპერაციების ჩატარების წესები, მოქმედებები წილადებზე და პროცენტებზე. პროპორციის შედგენა. ამოცანების სიჩქარეებზე, ხსნარებზე და შენარევებზე. ფუნქციები, ფუნქციების მოცემის ხერხები.

იცის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები, კერძოდ, ორგანული ნაერთების ძირითადი კლასიფიკაცია და აღნაგობის თავისებურებები. მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და გამოყენება, ასევე იზომერია და როლი ბიოლოგიურ პროცესებში.

იცის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, კერძოდ, სამედიცინო ბიოლოგიის ზოგადი საფუძვლები. იცის ადამიანის ორგანიზმის მთლიანობის შენარჩუნების - ჰომეოსტაზის სარეგულაციო მექანიზმები. აგრეთვე მისი დაბერებისა და სიკვდილის ბიოლოგიური საფუძვლები, სამედიცინო პარაზიტოლოგიის ძირითადი საკითხები.

იცის პროფესიული სამედიცინო ტერმინოლოგია, ლათინური ენის საფუძვლები, კერძოდ ლათინური ტერმინოლოგია, რეცეპტის სტრუქტურა, წარწერები რეცეპტზე, ბლანკის ფორმები.

აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს, პოულობს მათი გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. ასევე იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები.

იცის სააფთიაქო ნომენკლატურა, ფარმაცევტული საქმიანობას და სამკურნალო საშუალებების რაციონალურ გამოყენებაზე მოქმედ ფაქტორები.

იცის ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება - განთავსების, სერიული აღრიცხვის და ვარგისობის ვადის კონტროლი. ეკოდინება მომზადებული პროდუქტის დაფასოების, შეფუთვის, მარკირების წესები და პრინციპები. ასევე იცის აფთიაქის მოწყობა და აღჭურვა, აფთიაქის სხვადასხვა განყოფილების მუშაობის ორგანიზაცია, სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის და გაცემის პრინციპები. ფარმაცევტულ დაწესებულებებში სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის ორგანიზაცია, შენახვის პირობების უზრუნველყოფა.

იცის სამედიცინო საქონლის კლასიფიკაცია, ხარისხის შეფასების მეთოდები, სტანდარტიზაცია, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, საქონლის ტრანსპორტირების, ასევე შესახვევი მასალების, ავადმყოფის მოვლის საგნების, ინსტრუმენტების, განთავსება-შენახვა, კოსმეტიკური საშუალებებისა და სამკურნალო წყლების საქონელმცოდნეობა.

იცნობს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგადი თეორიულ საფუძვლებს. კერძოდ, შხამების ცნება და შხამიან ნივთიერებათა კლასიფიკაცია, ორგანიზმში მოხვედრის გზები ტოქსიკური ნივთიერებების იზოლირების, აღმოჩენის და განსაზღვრის მეთოდები. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტებისაგან მიღებული შხამიანი ან ძლიერმოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრის ქრომატოგრაფიული, სპექტრომეტრული, ელექტროქიმიური და სხვა მეთოდები. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები.

იცის რომელია სამკურნალო და არასამკურნალო მცენარეები, მცენარეების ცნობა, ბუნებაში სამკურნალო მცენარეების შემადგენელი ნივთიერებები, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების პროცესის ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგია.

იცის მედიკამენტების ძირითადი ჯგუფები, კლასიფიკაცია, ჩვენებები, გამოშვების ფორმები, კერძოდ ნერვულ სისტემაზე მოქმედი, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, შარდის გამომყოფ სისტემაზე, სისხლის სისტემაზე, ენდოკრინულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები, მეან-გინეკოლოგიაში გამოსაყენებელი პრეპარატები, ასევე ქიმიო-თერაპიული საშუალებები, ვიტამინური პრეპარატები.

იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის ზოგად თეორიულ საფუძვლებს. კერძოდ სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების მეთოდებს, პრეპარატების შენახვისას შესაძლო გარდაქმნებს და ქიმიურ შეუთავსებლობას, სამკურნალო საშუალებებების ხარისხის შეფასების მეთოდებს, პრეპარატების სტანდარტიზაციისთვის საჭირო ანალიზის მეთოდებს. ლაბორატორიაში და ფარმაცევტულ წარმოებაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს. იცის ფარმაცევტული ქიმიის ზოგადი და კერძო კანონზომიერებანი, სამკურნალო საშუალებები, მათი ქიმიური სტრუქტურა, თვისებები, შეუთავსებლობა, ხარისხის შემოწმება, სტანდარტიზაცია და ანალიზის მეთოდები, ასევე ახალი პრეპარატების შექმნის ძიების გზები. ფარმაცევტულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის ზოგადი წესები.

იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, მალამოების, გამონაცემების, მონახარშების, სუპოზიტორიების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები. ასევე სააფთიაქო წამალთა ფორმების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, წამალთა ფორმების კლასიფიკაცია, დოზირების მეთოდები.

იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულის და მასალების მომზადების (დაწვრილმანება, აწონვა, გაცრა, შერევა, გახსნა, აორთქლება, შრობა, სხვა და სხვა გამხსნელების მომზადება და ა.შ.) თეორიული საფუძვლები, ასევე მომზადებული პროდუქციის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება. იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად. შეუძლია მოამზადოს სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები; განსაზღვროს სხვადასხვა კათიონისა და ანიონის შემცველობა საკვლევი ნივთიერებაში, მათ შორის სამედიცინო პრეპარატებში. ასევე შეუძლია რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება. შეუძლია ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, სუპოზიტორიების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით. სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური

ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა; ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი; მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების აღება და დამუშავება. ანალიზის განხორციელება წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით, დოკუმენტაციის წარმოება. სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემა. შეუძლია წამლის ხარისხის კონტროლის ანალიზით განხორციელება, დოკუმენტაციის წარმოება.

შეუძლია წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება-აღრიცხვა. მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა, პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა). სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა. ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა. ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება. წამლის ხარისხის და ლაბორატორიული ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით.

